საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-12/43

ქ. ბათუმი 24 სექტემბერი, 2021 წ.

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანებისა და ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 16 სექტემბრის N01-10/79 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში 2021 წლის 27 სექტემბრიდან 27 ნოემბრამდე დაინიშნონ სტაჟიორებად (ანაზღაურების გარეშე) შემდეგი პირები:

1.1. პირველ ცვლაში სამუშაოდ (ორშაბათი-პარასკევი, 9:00 სთ- 13:00სთ):

ა) ქრისტინა ბერიძე - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) ბექა ხიტირი - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2021 წლის კურსდამთავრებული;

1.2. მეორე ცვლაში სამუშაოდ (ორშაბათი-პარასკევი, 14:00სთ-18:00სთ):

ა) ნაზი სეიდოღლი - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) თამარ კაკალაძე - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ჟანა ჯიბლაძე და არაუგვიანეს 2021 წლის 27 ნოემბრისა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

3. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსის შედეგების შესახებ ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟირების გავლის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტთა ინფორმირება, მათ მიერ საკონკურსო განაცხადის ფორმაში მითითებულ საკონტაქტო ნომრებზე.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**